კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.ajara.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2012 წლის 22 თებერვალი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა

www.ajara.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
61,90%
70,77%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
0,00%
0,00%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
60,00%
18,33%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
30,77%
51,25%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
9,52%
14,00%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
7,69%
20,00%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0,00%
0,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0,00%
0,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
14,29%
47,50%
0,00%
20,00%
40,00%
60,00%
80,00%

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ მოიძება ხელმძღვანელობის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კომპეტენციისა (უფლება-მოვალეობების) და მისი თანამდებობაზე დამტკიცების მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურის აღწერა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე

ლევან ვარშალომიძე

დაიბადა 1972 წლის 17 იანვარს ქ. ბათუმში.

1989 წელს წარჩინებით დამთავრა ბათუმის №6 საშუალო სკოლა.

1994 წელს - ქ. კიევის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი, იურიდიულ მეცნიერებათა მაგისტრის სამეცნიერო ხარისხით.

1994-1999 წლებში სწავლობდა ქ. კიევის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის ასპირანტურაში. მინიჭებული აქვს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი სპეციალობით სამოქალაქო სამართალი და სამოქალაქო საპროცესო სამართალი; საოჯახო სამართალი; საერთაშორისო კერძო სამართალი.

1998-2000 წწ. მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო-სამართლებრივ დეპარტამენტში ორმხრივი ურთიერთობების სამმართველოს უფროსად;

2000-2002 წწ. - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარედ;

2002 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროში იურიდიული დეპარტამენტის დირექტორად;

2002 წლის მარტიდან საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში საერთაშორისო კერძო სამართლის განყოფილების მეცნიერ-მუშაკად.

2002-2004 წწ. - სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე" პარტნიორია;

2004 წლის იანვრიდან დაინიშნა შპს "საქართველოს რკინიგზის" გენერალურ დირექტორად.

2004 წლის 5 მაისს დაინიშნა საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

2004 წლის 20 ივლისს, საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ დამტკიცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარედ.

საქართველო, 6010, ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას, 9
ტელ:422 72006
ფაქსი:422 77300
ელ-ფოსტა: Lvarshalomidze@adjara.gov.ge

- **არ მოიძიება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის უფროსის შესახებ არანაირი სახის ინფორმაცია:** არ მოიძიება მთავრობის აპარატის უფროსის სახელი და გვარი, ფოტოსურათი და ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მისი კომპეტენციის (უფლება-მოვალეობების) აღწერა და შემდეგი საკონტაქტო რეკვიზიტები - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. აგრეთვე, იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან აპარატის უფროსს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის მოქმედი დებულების თანახმად მთავრობის აპარატის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობის თავმჯდომარე. (სასურველია აღნიშნული ინფორმაცია განთავსდეს ვებ-გვერდზე შესაქმნელ განყოფილების „მთავრობის აპარატი“ განცალკევებულ ქვე-განყოფილებაში სათაურად „აპარატის უფროსი“).

2. ვებ-გვერდზე არ მოიძიება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (სტრუქტურული ერთეულების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები), აგრეთვე არ მოიძიება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების ერთიანი სრული სარეკვიზიტო ცნობარი (სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები, ფაქსის ნომრები, საფოსტო მისამართები [საფოსტო ინდექსზე მითითება] და შენობათა მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკები). ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი:



საქართველო, 6010, ქ. ბათუმი, გამსახურდიას, 10
ტელ: (+995 422) 72006
ფაქსი: (+995 422) 77300

info@adjara.gov.ge
contact@adjara.gov.ge

3. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება სათაურად „ისტორია“, სადაც განთავსდებოდა დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობის ისტორია.

4. ვებ-გვერდზე სასურველია შეიქმნას განცალკევებულ ქვე-განყოფილებაში სათაურად „საქმიანობა“ ან „ფუნქციები“, სადაც განთავსდებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ძირითადი ამოცანებისა და ფუნქციების, აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის აღწერა.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

5. ვებ-გვერდზე არ მოიძიება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის სტრუქტურის შესახებ არანაირი სახის ინფორმაცია. ვებ-გვერდზე შესაქმნელია განყოფილება სათაურად „მთავრობის აპარატი", სადაც სასურველია განთავსდეს შემდეგი სახის ინფორმაცია:

- მთავრობის აპარატის სტრუქტურის სქემატური ნახატი (სტრუქტურული ხე) და სტრუქტურის ინფორმაციული აღწერა (სასურველია აღნიშნული ინფორმაცია განთავსდეს ვებ-გვერდზე შესაქმნელ განყოფილების „მთავრობის აპარატი" განცალკევებულ ქვე-განყოფილებაში სათაურად „სტრუქტურა");

- მთავრობის აპარატის მოქმედი სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი (სასურველია აღნიშნული ინფორმაცია განთავსდეს ვებ-გვერდზე შესაქმნელ განყოფილების „მთავრობის აპარატი" განცალკევებულ ქვე-განყოფილებაში სათაურად „სტრუქტურული ერთეულები");

- თავისი კომპეტენციის ფარგლებში მთავრობის აპარატის სტრუქტურული ერთეულების ძირითადი ამოცანების აღწერა (სასურველია აღნიშნული ინფორმაცია ბმულის სახით თან ერთვოდეს შესაქმნელ ქვე-განყოფილებებში სათაურად „სტრუქტურა" და „სტრუქტურული ერთეულები" მოყვანილ შესაბამის სტრუქტურული ერთეულების დასახელებებს);

- <u>მთავრობის აპარატის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების</u> სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მათი კომპეტენციის (უფლება-მოვალეობების) აღწერა და შემდეგი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. აგრეთვე, იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან აპარატის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის მოქმედი დებულების თანახმად, მთავრობის აპარატის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს (უფროსებს) მთავრობის აპარატის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობის თავმჯდომარე.

  <u>მთავრობის აპარატის სხვა თანამშრომელთა</u> (საჯარო მოსამსახურეთა) სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მათი კომპეტენციის აღწერა და საკონტაქტო რეკვიზიტები.

  (სასურველია აღნიშნული ინფორმაცია განთავსდეს ვებ-გვერდზე შესაქმნელ განყოფილების „მთავრობის აპარატი" განცალკევებულ ქვე-განყოფილებაში სათაურად „თანამშრომლები", აგრეთვე ზემოთ ჩამოთვლილი ინფორმაციის ერთობლიობა

სასურველია ბმულის სახით თან ერთვოდეს შესაქმნელ ქვე-განყოფილებებში სათაურად „სტრუქტურა“ და „სტრუქტურული ერთეულები“ მოყვანილ შესაბამის სტრუქტურული ერთეულების დასახელებებს);

- მთავრობის აპარატის სტრუქტურული ერთეულების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები. (სასურველია აღნიშნული ინფორმაცია ბმულის სახით თან ერთვოდეს შესაქმნელ ქვე-განყოფილებებში სათაურად „სტრუქტურა“ და „სტრუქტურული ერთეულები“ მოყვანილ შესაბამის სტრუქტურული ერთეულების დასახელებებს, და აგრეთვე მთავრობის აპარატის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების და სხვა თანამშრომელთა სამუშაო საკონტაქტო რეკვიზიტებთან ერთად, გატანილ იქნეს ვებ-გვერდის ძირითად განყოფილებაში - „კონტაქტი“).

ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი - სასურველია დამატებით მოიძიებოდეს აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის მისამართი (საფოსტო ინდექსზე მითითებით) და შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკა.

- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

6. ოფიციალური ქრონიკის გარდა, ვებ-გვერდზე არ არსებობს სხვა სახის ძალზედ მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები, რაც ნებისმიერი საჯარო დაწესებულების/სახელმწიფო ორგანოს ვებ-გვერდის დაინტერესებულ მომხმარებელს დაეხმარებოდა ამ ორგანოს საქმიანობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის დროულ მოძიებაში: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილებები შესაბამისი ინფორმაციული შიგთავსით - ვაკანსიათა და ტენდერების არქივი, ადმინისტრაციული ხელშეკრულებების ბაზა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საქმიანობის ამსახველი წლიური და კვარტალური ანგარიშები, აგრეთვე გეგმები და პროგნოზები, სტატისტიკური მონაცემები, პროგრამებისა და პროექტების მონაცემთა ბაზა, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები *და ა.შ.*

შეიძლება ითქვას რომ არ არსებობს აგრეთვე სამართლებრივი აქტების მონაცემთა ბაზაც, ვინაიდან განყოფილებაში სათაურად „სამართლებრივი საფუძვლები“ მოცემული მხოლოდ ოთხი სამართლებრივი აქტის ბმულიდან ორის ბმული ცარიელია („აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია“ და „მთავრობის რეგლამენტი“), ხოლო დანარჩენი ორი აქტის ბმულიდან - „საქართველოს კონსტიტუციის“ ბმულის მაგალითზე მოცემულია საქართველოს

პარლამენტის ვებ-გვერდზე გადასასვლელი ბმული, სადაც განთავსებულია საქართველოს კონსტიტუციის ინგლისურენოვანი ტექსტი, ხოლო ერთადერთი სამართლებრივი აქტი, რომელიც მოცემულია ტექსტის სახით ვებ-გვერდზე (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“) მოცემულია ძველი მდგომარეობით:





სასურველია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ვებ-გვერდზე აგრეთვე მოიძიებოდეს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებების რეესტრი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საინვესტიციო გზამკვლევის ელექტრონული ვერსია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების საჯარო თანამდებობათა რეესტრი, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განხორციელებული და განსახორციელებელი საინვესტიციო პროგრამების ერთიანი ელექტრონული საინფორმაციო ბაზა, ელექტრონული ვიდეომასალის არქივი და მთავრობის თავმჯდომარის სამდივნოს და მთავრობის აპარატის უფროსის სამდივნოს მიერ მოქალაქეთა მიღებისა და მოქალაქეთა საჩივრების განხილვის წესის აღწერა.

7. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება შემოსული/გასული კორესპონდენციის რეგისტრი.

- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

8. ვებ-გვერდზე უახლესი ცნობა აჭარის მთავრობის აპარატის უფროსის მიმდინარე საქმიანობის შესახებ თარიღდება 2011 წლის 02 ნოემბრით. სასურველია ვებ-გვერდზე არსებობდეს აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის უფროსის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები, ცნობები მისი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ ან/და ცნობები მისი მონაწილეობის შესახებ ამა თუ იმ ღონისძიებებში უახლესი მდგომარეობითაც:



სიახლეები | მთავრობის წევრები | სამართლებრივი საფუძვლები | აჭარის შესახებ | ბმულები | კონტაქტი

მაღალმთიან აჭარაში გზების რეაბილიტაცია გრძელდება

წელათი–ჩირუხი–ჯინალის 8 კმ–იანი საავტომობილო გზის მონაკვეთის მშენებლობის ძირითადი ნაწილი უკვე შესრულებულია. რეაბილიტაცია შარშან სექტემბერში დაიწყო და მთის კლიმატური პირობების გამო სამუშაოები მომავალი წლის გაზაფხულზე დასრულდება. შუახევის მუნიციპალიტეტში გზის რეაბილიტაციას აჭარის ა.რ მთავრობის აპარატის უფროსი ომარ მეგრელიძე გაეცნო.

წელათი–ჩირუხი–ჯინალის გზის მონაკვეთის სამუშაოები სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის "იფადისა" და მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ხორციელდება. გზის შეკეთებას კომპანია "მშენებელი 80" აწარმოებს. რეაბილიტაციისთვის 1,1 მილიონი ლარი გამოიყო.

სხვა სურათები: 2

ომარ მეგრელიძემ მდინარე ჯინალის წყალზე ახლად აშენებული ხიდიც მოინახულა. შუახევის მუნიციპალიტეტში 2012 წელს ასევე, იგეგმება შუბანი–წელათის 7–კმ–იანი გზის მონაკვეთის რეკონსტრუქცია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მსმენელებსა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

9. ვებ-გვერდზე არ მოიძიება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საქმიანობის ამსახველი ყოველწლიური ანგარიშები და მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები. აღნიშნული ინფორმაცია სასურველია განთავსდეს ვებ-გვერდზე შესაქმნელ ქვე-განყოფილებაში „ანგარიშები“.

10. ვებ-გვერდზე არ არსებობს განცალკევებული (ქვე-)განყოფილება „სტატისტიკა“, სადაც განთავსდებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობასთან დაკავშირებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ მთავრობის საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას.

11. ვებ-გვერდზე არ არსებობს განცალკევებული (ქვე-)განყოფილება „გეგმები“ ან „სტრატეგია“, სადაც განთავსდებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მმართველობის სფეროს მიკუთვნებულ ამა თუ იმ დარგის განვითარების გეგმების აღწერა და მომზადებული პროგნოზები.

12. სასურველია ვებ-გვერდზე განცალკევებულად არსებობდეს ქვე-განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

13. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ინფორმაცია სტაჟირებების, ატესტაციის, ტრენინგების, პროფესიული დაოსტატების, სასწავლო ანდა სემინარების კურსებისის შესახებ, აღნიშნული ინფორმაცია სასურველია განთავსდეს ვებ-გვერდზე შესაქმნელ ქვე-განყოფილებაში „ტრენინგები“.

14. სასურველია ვებ-გვერდზე არსებობდეს ერთიანი (ქვე-) განყოფილება - ,,პროგრამები/პროექტები", რომელიც მოიცავს იმ პროექტებისა და პროგრამების ჩამონათვალს, რომლის დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. მოცემული (ქვე-)განყოფილება აგრეთვე უნდა მოიცავდეს პროექტებისა და პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებათა შესახებ სრულ ცნობებსა და მათი შესრულების შესახებ მოხსენებებს.

15. სასურველია ვებ-გვერდზე მომხმარებელთათვის დამატებით არსებობდეს ინფორმაცია სამართალდარღვევათა შესახებ (უფლებათა დარღვევის, შემთხვევათა და მისთ. შესახებ) განცხადებათა მიღების წესი და იმ სასამართლო საქმეთა მიმოხილვა, რომელთა ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი.

16. ვებ-გვერდზე სასურველია განცალკევებით არსებობდეს (ქვე-)განყოფილება „მთავრობის სხდომები", სადაც განთავსდებოდა სხდომების შესახებ შესაბამისი ინფორმაციული ხასიათის ცნობები (მიმდინარეობა, შედეგები, მიღებული გადაწყვეტილებები *და ა.შ.*) და უკლებლივ ყველა სხდომის დღის წესრიგის ამსახველი თანდართული ფაილები და სხდომათა ოქმები (საოქმო ჩანაწერები).

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

17. შეიძლება ითქვას რომ ვებ-გვერდზე ფაქტობრივად არ არსებობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების მონაცემთა ბაზა. მართალია ვებ-გვერდზე არსებობს განყოფილება სათაურად „სამართლებრივი საფუძვლები", თუმცა მასში მოყვანილი მხოლოდ ოთხი სამართლებრივი აქტის სათაურიდან ორი ცარიელია და არ შეიცავს შესაბამის ინფორმაციას („აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია" და „მთავრობის რეგლამენტი"). ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის მაგალითზე სასურველია არსებობდეს არა საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდზე გადასასვლელი ბმული, სადაც მოყვანილია საქართველოს კონსტიტუციის ინგლისურენოვანი ვერსიის ჩამოსატვირთი ფაილი, არამედ საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის ქართულენოვანი ტექსტი.

ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებას სათაურად „სამართლებრივი საფუძვლები" სასურველია გადაერქვას სახელი და ეწოდოს „სამართლებრივი აქტები". სასურველია აღნიშნულ განყოფილებაში სხვა მოქმედ სამართლებრივ აქტებთან ერთად განთავსდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებები, მთავრობის თავმჯდომარისა და მთავრობის აპარატის უფროსის სამართლებრივი აქტები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმღვანელთა სამართლებრივი აქტები, მთავრობის აპარატის ცალკეული სტრუქტურული ერთეულების დებულებები და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ან/და მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების თაობაზე საკანონმდებლო და კანონქვემდებარე

აქტების პროექტები, მათ შორის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონპროექტები, მთავრობის, მთავრობის თავმჯდომარისა და მთავრობის აპარატის უფროსის სამართლებრივი აქტების პროექტები, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის სამართლებრივი აქტები და მთავრობის აპარატის საშტატო ნუსხა.

სასურველია აღნიშნულ განყოფილებაში, აგრეთვე, მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც უახლესი მდგომარეობით:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია;
- საქართველოს კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს შრომის კოდექსი;
- საქართველოს კანონი ,,საჯარო სამსახურის შესახებ”;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობასთან დაკავშირებული საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა კანონები;
- შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

ამასთან, ვებ-გვერდზე განთავსებული ერთადერთი სამართლებრივი აქტის სრული ტექსტი, რომელიც დასათაურებულია, როგორც „კანონი მთავრობის შესახებ“, იგივე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ მოცემულია ძველი მდგომარეობით:



სიახლეები | მთავრობის წევრები | სამართლებრივი საფუძვლები | აჭარის შესახებ | ბმულები | კონტაქტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია

საქართველოს კონსტიტუცია

კანონი მთავრობის შესახებ

მთავრობის რეგლამენტი

კანონი მთავრობის შესახებ

აჭარის ... რობის სტრუქტურის, ... ს წესის შესახებ

ეს კანონი განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ... ილებას, მისი საქმიანობის წესსა და მთავრობის ურთიერთობას საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა სახელმწიფო ორგანოებთან.

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა (შემდგომში - მთავრობა) არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო, რომელიც წარმართავს და ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ხელისუფლებას.
2. მთავრობა შედის საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში.
3. მთავრობა შედგება მთავრობის თავმჯდომარისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრებისაგან.

მუხლი 2.

1. მთავრობა თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის, საქართველოს კანონების, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, ამ კანონისა და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე.
2. მთავრობა თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას ხელმძღვანელობს სამოქმედო პროგრამით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს სამთავრობო პროგრამის ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებს. სამოქმედო პროგრამას ნდობას უცხადებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.
3. მთავრობა უფლებამოსილია გადაწყვიტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გამგებლობას მიკუთვნებული ყველა ის საკითხი, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად არ შედის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციაში.

მუხლი 3.

1. მთავრობა აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას უზრუნველყოფს სამინისტროებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების მეშვეობით.
2. დაუშვებელია მთავრობის შემადგენლობაში ამ კანონით გათვალისწინებულის გარდა სხვა რაიმე სტრუქტურის/ორგანოს შექმნა ან არსებობა.

მუხლი 4.

მთავრობა ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წინაშე.

თავი II. მთავრობის ფორმირების წესი

მუხლი 5.

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობიდან ან მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს თანამდებობაზე დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე დამტკიცებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

18. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა და ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ზოგად საკითხებთან დაკავშირებულ მიმართვათა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატში მიღების წესის აღწერა და მიღებულ მიმართვათა განხილვის წესისა და ვადების აღწერა;

19. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი არანაირი სახის ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან: ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და აპარატში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ

ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

20. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, აპარატსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

21. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება, სათაურად „ტენდერები“, სადაც განთავსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, აპარატის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაციული ხასიათის ცნობები.

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

22. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „ვაკანსიები“, სადაც განთავსდებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატში ვაკანტურ თანამდებობათა და ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (აპარატის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე [თანხმობის მიღება] მითითებით), საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა *და ა.შ*

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

23. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის შემდეგი სახის ინფორმაცია:

- განცალკევებულ ქვე-განყოფილებაში განთავსებული ინფორმაციის სახით სასურველია მოიძიებოდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია (ინფორმაცია ყოველწლიურ ასიგნებებისა და მათი ხარჯვის შესახებ);

  *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ და მეორე კვარტალში (იანვარი-ივნისი) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის 2011 წლის მეორე კვარტალის შესრულების ბალანსი/ანგარიში), რა ინფორმაციაც ნაწილობრივ მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის მთავრობის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/acharismtavroba_budget.pdf).*

- განცალკევებულ ქვე-განყოფილებაში განთავსებული ინფორმაციის სახით სასურველია მოიძიებოდეს საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

  *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, ინსტიტუტის მიერ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" ვებ-გვერდიდან მოპოვებულ იქნა დადგენილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების, მთავრობისა და სამინისტროების საქვეუწყებო დაწესებულებებისა და მათი ტერიტორიული ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი განაკვეთების დამტკიცების შესახებ", რაც შესაძლებელს ხდის მთავრობის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/acharis_mtavroba.pdf).*

- განცალკევებულ ქვე-განყოფილებაში განთავსებული ინფორმაციის სახით სასურველია მოიძიებოდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია;

- განცალკევებულ ქვე-განყოფილებაში განთავსებული ინფორმაციის სახით სასურველია მოიძიებოდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო,

საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს მთავრობა;

- განცალკევებულ ქვე-განყოფილებაში განთავსებული ინფორმაციის სახით სასურველია მოიძიებოდეს უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

ზემოთხსენებული ინფორმაცია და შესაბამისი ქვე-განყოფილებები სასურველია განთავსდეს შესაქმნელ განცალკევებულ განყოფილებაში („ფინანსები“, „ხარჯთაღრიცხვა“, „ბიუჯეტი“ *და მისთ.*).

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ვებ-გვერდი ტოვებს მოსახლეობისათვის მთავრობის, და განსაკუთრებით - მთავრობის თავმჯდომარის მიერ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ონლაინ საშუალებას, რაც თავისთავად არ წარმოადგენს ნეგატიურ ფაქტს, თუმცა ვებ-გვერდზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის, მისი სტრუქტურის, ხელმძღვანელობის და თანამშრომელთა შესახებ ინფორმაციის არარსებობა, წარმოდგენილი მწირი საკონტაქტო ინფორმაცია და მრავალი ისეთი სტანდარტული მონაცემთა ბაზების არარსებობა, როგორებიცაა ვაკანსიების, ტენდერების, პროგრამებისა და პროექტების არქივები, სტატისტიკური მაჩვენებლების, გეგმების, პროგნოზებისა და ფინანსური მაჩვენებლების მონაცემთა განცალკევებული ბანკები და დანარჩენი ზემოთ აღწერილი პრობლემატიკა, ახასიათებს რესურსს, როგორც საკმაოდ დაბალი გამჭვირვალობის დონის მქონესა და ინფორმაციულად ღარიბს, რაც ნამდვილად არ შეეფერება ისეთი მაღალი სტატუსის მქონე ორგანოს ვებ-რესურსს, როგორიცაა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალური ვებ-გვერდი.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
88,89%
2. ძიება
40,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
56,25%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
25,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
33,33%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
73,68%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
85,71%
9. ელექტრონული ჩართულობა
0,00%
10. ელექტრონული სერვისები
0,00%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
33,33%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
50,00%
0
0,2
0,4
0,6
0,8
1

- **ძიება**

ვებ-გვერდის მარჯვენა ზედა კუთხეში ინტეგრირებულია ძიების მოდული, თუმცა ვიზუალურად რთულად მისი იდენტიფიცირება. მაგ:



პირველ რიგში მოდულს უნდა ქონდეს ძიების ღილაკი. ასევე თავად ძიების ველში ან მის გასწვრივ უნდა ეწეროს თუ რისთვის გამოიყენება აღნიშნული ველი. მაგალითად: „ძიება“, „ჩაწერეთ საკვანძო სიტყვა“ და ა.შ.

- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ვებ-გვერდის ზოგიერთ მოდულში გამოყენებულია ფონტის ზომა, რომელიც მცირეა ვიდრე 12 პიქსელი. მაგ:



მსგავსი ზომის ფონტის გამოყენება არ არის რეკომენდირებული, რადგან მხედველობასთან პრობლემების მქონე პირთათვის ტექსტის წაკითხვა გართულებული იქნება;

- **საკონტაქტო ფორმები და წესები**

როდესაც ვებ-გვერდს აქვს ელექტრონული ფოსტის სისტემის მხარდაჭერა, საჯარო დაწესებულებაში მომუშავე პირების ელ.ფოსტები არ უნდა იყოს ისეთ სისტემებში რეგისტრირებული, როგორიც არის mail.ru, inbox.ru, yahoo.com ან სხვა. ვებ-გვერდზე ასეთი ფაქტი დაფიქსირებულია. მაგ:

- **ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა**

ვებ-გვერდზე არსებობს კატეგორიები, სადაც ინფორმაცია არ არის ატვირთული და არც შესაბამისი შეტყობინება წერია. ასეთ შემთხვევებში აუცილებლად უნდა იყოს მინიშნება, იმაზე ინფორმაცია მზადების პროცესშია თუ არა. მაგ:



- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდის ყველა გვერდს აქვს იდენტური დასახელება (Title), რის გამოც ინფორმაცია საძიებო სისტემაში ინდექსირდება არა-რელევანტურად და მათი ხელმისაწვდომობა სხვადასხვა სისტემებში ბევრად გართულებულია. ყველა გვერდს უნდა ქონდეს თავისის დასახელება და ასევე აღწერა. ამჟამინდელი ვებ-გვერდის მაგალითი, გვერდი „თავჯდომარე“



ანალოგიური დასახელება აქვს სხვა გვერდებსაც, მაგალითად კატეგორია „სიახლეები“



- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდზე დაშვებულია ძალიან მნიშვნელოვანი ხარვეზები უსაფრთხოების კუთხით.

მაგ: (Sql Injection)



ასევე XSS:



ეს არის ისეთი ხარვეზები, რომლებიც გამოიყენებოდა 2008 წლის კიბერ ომის დროს. სწორედ ამ მეთოდის საშუალებით ჰაკერები აღწევდნენ ქართული ვებ-გვერდების სისტემებში. ანალოგიურად როგორც 2008 წელს, გამოცდილ ჰაკერს ძალიან მარტივად შეუძლია http://www.ajara.gov.ge -ის სისტემში შეღწევა.

ჩვენ სპეციალურად არ ვწერთ რეკომენდაციის დოკუმენტში ამ ხარვეზის შესახებ დეტალურად, თუმცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურ პირთა დაინტერესების შემთხვევაში მივაწვდით სრულ ანალიზს;

- **დამატებითი პარამეტრები**

ვებ-გვერდის სიახლეებში გამოყენებული სურათები დაპატარავებულია პროგრამული კოდის მეშვეობით (CSS/HTML) რის გამოც შეფერხებულია გვერდის სწრაფი ჩატვირთვა.

მაგალითად შემდეგი სურათები:



აღნიშნული ფოტო სინამდვილეში უფრო დიდი მოცულობის არის:

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდზე დაშვებულია ძალიან მნიშვნელოვანი ხარვეზები უსაფრხოების კუთხით, რომელიც სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს. უსაფრთხოების დეტალების შემდეგ პრიორიტეტულია ძიების სისტემის, საკონტაქტო ფორმებისა და წესების, ელექტრონული სერვისების გამოსწორება და მათი ფუნქციურად გამდიდრება.